

(იაპონიის ნოტა)

თქვენო აღმატებულება,

მაქვს პატივი მოვიხსენიო იაპონიის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის ბოლო პერიოდში გამართული მსჯელობები, რომლებიც შეეხებოდა საქართველოში მოხალისეების გაგზავნას „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში (შემდგომში - პროგრამა), რომელსაც განახორციელებს იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (შემდგომში - JICA) საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით და იაპონიის მთავრობის სახელით მხარეთა შორის მიღწეული შემდეგი მოსაზრების დასადასტურებლად:

1. საქართველოს მთავრობის თხოვნით, JICA საქართველოში გააგზავნის იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეებს (შემდგომში - JOCV) იაპონიაში მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, იმ გრაფიკის მიხედვით, რომელიც ცალკე შეთანხმდება ორი მთავრობის კომპეტენტურ ორგანოებს შორის. იაპონიის მთავრობის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს მთავრობის კომპეტენტურ ორგანოს - საგარეო საქმეთა სამინისტრო.

2. საბიუჯეტო ასიგნებების გათვალისწინებით, იაპონიასა და საქართველოს შორის საერთაშორისო მგზავრობის ღირებულებას და JOCV-ისთვის საქართველოში ცხოვრების ხარჯებს გაიღებს JICA და საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო აღჭურვილობის, ტექნიკური მოწყობილობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალების ხელმისაწვდომობას ასევე უზრუნველყოფს JICA.

3. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ ათვისებული მეთოდები და შექმნილი ცოდნა, ასევე პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა, ტექნიკური მოწყობილობები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მასალები ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნებისთვის.

4. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს JOCV-ს შემდეგი პრივილეგიებით, შეღავათებითა და სარგებლით, კერძოდ:

(1) გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლისგან, გადასახადებისგან საბაჟო გადასახადებისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით, აგრეთვე საიმპორტო ლიცენზიისა და უცხოური ვალუტის გაცვლის დაფარვის სერთიფიკატის აღების ვალდებულებისგან მე-2 პუნქტში ნახსენები აღჭურვილობის, ტექნიკური მოწყობილობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალის იმპორტთან მიმართებით;

(2) გაათავისუფლებს გადასახადებისგან, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით, მე-2 პუნქტში აღნიშნული აღჭურვილობის, ტექნიკური მოწყობილობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალების ადგილობრივ შესყიდვასთან მიმართებით;

(3) გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლისგან, გადასახადებისგან საბაჟო გადასახადებისა და ფისკალური გადასახადების ანაკრეფის ჩათვლით, აგრეთვე საიმპორტო ლიცენზიისა და უცხოური ვალუტის დაფარვის გადახდის სერთიფიკატის აღების ვალდებულებისგან მათი

ბარგის, პირადი ნივთების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ფართო მოხმარების საქონლის იმპორტთან მიმართებით;

(4) გაათავისუფლებს გადასახადებისგან, მათ შორის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთიდან დარიცხულ ცხოვრების ხარჯებისთვის თანხაზე ან მასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფისგან;

(5) შესთავაზებს ხელსაყრელ პირობებს სამედიცინო დახმარების მისაღებად საჭირო სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფით;

(6) შესთავაზებს ძირითადი ავეჯით გაწყობილ საცხოვრებელს უფასოდ იმ ადგილებზე, სადაც ისინი შეასრულებენ საქართველოს მთავრობის მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

(7) ნებას დართავს JOCV-ის მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი რადიოკავშირის კომპლექტების დამონტაჟებასა და გამოყენებაზე;

(8) გასცემს საიდენტიფიკაციო ბარათებს JOCV-ის მოვალეობების შესასრულებლად ყველა აუცილებელ სამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;

(9) ნებას დართავს საქართველოში შემოსვლაზე, გასვლასა და ყოფნაზე მივლინების მანძილზე, ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებს უცხოელთა რეგისტრაციისთვის მოთხოვნილ პროცედურებზე და გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლებისგან;

(10) შესთავაზებს ავტომანქანის მართვის მოწმობის მოპოვების შესაძლებლობას JOCV-ისთვის, რომელთაც ავტომობილის მართვა სჭირდებათ საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად; და

(11) უზრუნველყოფს JOCV-ის მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელ სხვა ზომებს.

5. (1) საქართველოს მთავრობა მიიღებს იაპონიიდან გამოგზავნილ რეზიდენტ კოორდინატორებს, რომლებიც შეასრულებენ JICA-ს მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს საქართველოში (შემდგომში - JICA-ს კოორდინატორები) პროგრამის საქმიანობასთან დაკავშირებით.

(2) საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს JICA-ს კოორდინატორებსა და მათი ოჯახის წევრებს შემდეგი პრივილეგიებით, შეღავათებითა და სარგებლით:

(ა) გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლისგან, გადასახადებისგან საბაჟო გადასახადებისა და ფისკალური გადასახადების ანაკრეფის ჩათვლით, აგრეთვე საიმპორტო ლიცენზიისა და უცხოური ვალუტის გაცვლის დაფარვის სერთიფიკატის აღების ვალდებულებისგან მათი ბარგის, პირადი ნივთების, საყოფაცხოვრებო ნივთების, ფართო მოხმარების საქონლის და ერთი ავტომობილის იმპორტთან მიმართებით JICA-ს თითოეულ კოორდინატორზე და JICA-ს თითოეული კოორდინატორის ოჯახზე გათვლით;

(ბ) გაათავისუფლებს გადასახადებისგან, ანაზღაურებაზე, ხელფასსა და საზღვარგარეთიდან ჩარიცხულ ნებისმიერ დანამატზე საშემოსავლო გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით;

(გ) გაათავისუფლებს გადასახადებისგან დამატებული ღირებულების გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით, JICA-ს თითოეულ კოორდინატორს და JICA-ს თითოეული კოორდინატორის ოჯახის საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალების იმპორტის განუხორციელებლობისას მისი ადგილზე ყიდვის შემთხვევაში;

(დ) გაათავისუფლებს (ა) და (გ) პუნქტებში ნახსენებ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს სარეგისტრაციო გადასახადისგან;

(ე) შესთავაზებს ავტომანქანის მართვის მოწმობის მოპოვების შესაძლებლობას;

(ვ) ნებას დართავს JICA-ს კოორდინატორებს მოაწყონ და გამოიყენონ მათი მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი რადიო-საკომუნიკაციო კომპლექტები;

(ზ) გასცემს საიდენტიფიკაციო ბარათებს JICA-ს კოორდინატორებისთვის მათი მოვალეობების შესრულების გასაადვილებლად და სპეციალურ საშვებს აეროპორტებში შესასვლელად საპასპორტო-საკონტროლო პუნქტის მიღმა JOCV-ის მისაღებად და გასამგზავრებლად;

(თ) ნებას დართავს, მივლინების მანძილზე, საქართველოში შემოსვლაზე, გასვლასა და ყოფნაზე, შესთავაზებს უცხოელთა რეგისტრაციისთვის მოთხოვნილ პროცედურებზე ხელსაყრელ პირობებს და გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლებსგან; და

(ი) უზრუნველყოფს JICA-ს კოორდინატორებისთვის მათი მოვალეობის შესრულების მიზნით აუცილებელი სხვა ზომების გატარებას.

(3) მე-2 ქვეპუნქტში აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება გადასახადების გადახდას, საბაჟო გადასახადის ჩათვლით, თუ შემდგომში მოხდა მათი გაყიდვა ან საკუთრებაში გადაცემა საქართველოს ტერიტორიაზე იმ პირთათვის ან ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან მსგავსი გადასახადებისგან გათავისუფლებას ან მსგავს პრივილეგიებს.

6. საქართველოს მთავრობა მიანიჭებს JOCV-ს, JICA-ს კოორდინატორებსა და მათი ოჯახის წევრებს ისეთ პრივილეგიებს, შეღავათებსა და სარგებელს, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე ნებისმიერი მესამე ქვეყნის ან ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის იმ მოხალისეებისათვის, კოორდინატორებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის დაწესებული პრივილეგიები, შეღავათები და სარგებელი, რომლებიც იმყოფებიან ანალოგიური მისიით საქართველოში.

7. საქართველოს მთავრობა მიიღებს აუცილებელ ზომებს საქართველოში JOCV-ს, JICA-ს კოორდინატორებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

8. საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას JOCV-ის წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია მათი მოვალეობების შესრულების დროს ან სხვაგვარად არის დაკავშირებული მათ მიერ მოვალეობების შესრულებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორივე მთავრობა თანხმდება, რომ ასეთი პრეტენზიები წარმოიშობა JOCV-ის მხრიდან უხეში დაუდევრობით ან წინასწარგანზრახული გადაცდომით.

9. ორივე მთავრობა დროდადრო გამართავს კონსულტაციებს პროგრამის საქართველოში წარმატებით განხორციელების მიზნით.

10. ზემოთ აღნიშნული ურთიერთგაგება შეიძლება შეიცვალოს ორივე მთავრობის ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და მისი მოქმედება შეწყდეს რომელიმე მთავრობის მოთხოვნით მეორე მხარისთვის ექვსი თვით ადრე ურთიერთგაგების მოქმედების შეწყვეტის განზრახვის თაობაზე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

გარდა ამისა, მაქვს პატივი შემოგთავაზოთ, რომ წინამდებარე ნოტა და თქვენი აღმატებულების საპასუხო ნოტა, რომელიც საქართველოს მთავრობის სახელით ადასტურებს წინამდებარე

შეთანხმებას, შეადგენს ორი ქვეყნის მთავრობებს შორის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევა ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდა პროცედურების დასრულების შესახებ საქართველოს მთავრობის წერილობითი შეტყობინების იაპონიის მთავრობის მიერ მიღების დღეს.

ვსარგებლობ მოცემული შესაძლებლობით, დავუდასტურო თქვენს აღმატებულებას ჩემი უღრმესი პატივისცემა.

---

საქართველოში იაპონიის საგანგებო და  
სრულუფლებიანი ელჩი  
ტადაჰარუ უეჰარა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი  
მისი აღმატებულება ბატონი  
დავით ზალკალიანი

(საქართველოს ნოტა)

თქვენო აღმატებულება,

მაქვს პატივი დავადასტურო თქვენი აღმატებულობის ნოტის მიღება დღევანდელი თარიღით, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

“მაქვს პატივი მოვიხსენიო იაპონიის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის ბოლო პერიოდში გამართული მსჯელობები, რომლებიც შეეხებოდა საქართველოში მოხალისეების გაგზავნას „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში (შემდგომში - პროგრამა), რომელსაც განახორციელებს იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (შემდგომში - JICA) საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით და იაპონიის მთავრობის სახელით მხარეთა შორის მიღწეული შემდეგი მოსაზრების დასადასტურებლად:

1. საქართველოს მთავრობის თხოვნით, JICA საქართველოში გააგზავნის იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეებს (შემდგომში - JOCV) იაპონიაში მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, იმ გრაფიკის მიხედვით, რომელიც ცალკე შეთანხმდება ორი მთავრობის კომპეტენტურ ორგანოებს შორის. იაპონიის მთავრობის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს მთავრობის კომპეტენტურ ორგანოს - საგარეო საქმეთა სამინისტრო.

2. საბიუჯეტო ასიგნებების გათვალისწინებით, იაპონიასა და საქართველოს შორის საერთაშორისო მგზავრობის ღირებულებას და JOCV-ისთვის საქართველოში ცხოვრების ხარჯებს გაიღებს JICA და საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო აღჭურვილობის, ტექნიკური მოწყობილობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალების ხელმისაწვდომობას ასევე უზრუნველყოფს JICA.

3. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ ათვისებული მეთოდები და შეძენილი ცოდნა, ასევე პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა, ტექნიკური მოწყობილობები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მასალები ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნებისთვის.

4. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს JOCV-ს შემდეგი პრივილეგიებით, შეღავათებითა და სარგებლით, კერძოდ:

(1) გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლისგან, გადასახადებისგან საბაჟო გადასახადებისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით, აგრეთვე საიმპორტო ლიცენზიისა და უცხოური ვალუტის გაცვლის დაფარვის სერთიფიკატის აღების ვალდებულებისგან მე-2 პუნქტში ნახსენები აღჭურვილობის, ტექნიკური მოწყობილობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალის იმპორტთან მიმართებით;

(2) გაათავისუფლებს გადასახადებისგან, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით, მე-2 პუნქტში აღნიშნული აღჭურვილობის, ტექნიკური მოწყობილობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალების ადგილობრივ შესყიდვასთან მიმართებით;

(3) გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლისგან, გადასახადებისგან საბაჟო გადასახადებისა და ფისკალური გადასახადების ანაკრეფის ჩათვლით, აგრეთვე საიმპორტო ლიცენზიისა და უცხოური ვალუტის დაფარვის გადახდის სერთიფიკატის აღების ვალდებულებისგან მათი ბარგის, პირადი ნივთების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ფართო მოხმარების საქონლის იმპორტთან მიმართებით;

(4) გაათავისუფლებს გადასახადებისგან, მათ შორის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთიდან დარიცხულ ცხოვრების ხარჯებისთვის თანხაზე ან მასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფისგან;

(5) შესთავაზებს ხელსაყრელ პირობებს სამედიცინო დახმარების მისაღებად საჭირო სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფით;

(6) შესთავაზებს ძირითადი ავეჯით გაწყობილ საცხოვრებელს უფასოდ იმ ადგილებზე, სადაც ისინი შეასრულებენ საქართველოს მთავრობის მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

(7) ნებას დართავს JOCV-ის მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი რადიოკავშირის კომპლექტების დამონტაჟებასა და გამოყენებაზე;

(8) გასცემს საიდენტიფიკაციო ბარათებს JOCV-ის მოვალეობების შესასრულებლად ყველა აუცილებელ სამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;

(9) ნებას დართავს საქართველოში შემოსვლაზე, გასვლასა და ყოფნაზე მივილინების მანძილზე, ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებს უცხოელთა რეგისტრაციისთვის მოთხოვნილ პროცედურებზე და გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლებისგან;

(10) შესთავაზებს ავტომანქანის მართვის მოწმობის მოპოვების შესაძლებლობას JOCV-ისთვის, რომელთაც ავტომობილის მართვა სჭირდებათ საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად; და

(11) უზრუნველყოფს JOCV-ის მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელ სხვა ზომებს.

5. (1) საქართველოს მთავრობა მიიღებს იაპონიიდან გამოგზავნილ რეზიდენტ კოორდინატორებს, რომლებიც შეასრულებენ JICA-ს მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს საქართველოში (შემდგომში - JICA-ს კოორდინატორები) პროგრამის საქმიანობასთან დაკავშირებით.

(2) საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს JICA-ს კოორდინატორებსა და მათი ოჯახის წევრებს შემდეგი პრივილეგიებით, შეღავათებითა და სარგებლით:

(ა) გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლისგან, გადასახადებისგან საბაჟო გადასახადებისა და ფისკალური გადასახადების ანაკრეფის ჩათვლით, აგრეთვე საიმპორტო ლიცენზიისა და უცხოური ვალუტის გაცვლის დაფარვის სერთიფიკატის აღების ვალდებულებისგან მათი ბარგის, პირადი ნივთების, საყოფაცხოვრებო ნივთების, ფართო მოხმარების საქონლის და ერთი ავტომობილის იმპორტთან მიმართებით JICA-ს თითოეულ კოორდინატორზე და JICA-ს თითოეული კოორდინატორის ოჯახზე გათვლით;

(ბ) გაათავისუფლებს გადასახადებისგან, ანაზღაურებაზე, ხელფასსა და საზღვარგარეთიდან ჩარიცხულ ნებისმიერ დანამატზე საშემოსავლო გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით;

(გ) გაათავისუფლებს გადასახადებისგან დამატებული ღირებულების გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით, JICA-ს თითოეულ კოორდინატორს და JICA-ს თითოეული კოორდინატორის ოჯახის საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალების იმპორტის განუხორციელებლობისას მისი ადგილზე ყიდვის შემთხვევაში;

(დ) გაათავისუფლებს (ა) და (გ) პუნქტებში ნახსენებ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს სარეგისტრაციო გადასახადისგან;

(ე) შესთავაზებს ავტომანქანის მართვის მოწმობის მოპოვების შესაძლებლობას;

(ვ) ნებას დართავს JICA-ს კოორდინატორებს მოაწიონ და გამოიყენონ მათი მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი რადიო-საკომუნიკაციო კომპლექტები;

(ზ) გასცემს საიდენტიფიკაციო ბარათებს JICA-ს კოორდინატორებისთვის მათი მოვალეობების შესრულების გასაადვილებლად და სპეციალურ საშვებს აეროპორტებში შესასვლელად საპასპორტო-საკონტროლო პუნქტის მიღმა JOCV-ის მისაღებად და გასამგზავრებლად;

(თ) ნებას დართავს, მივლინების მანძილზე, საქართველოში შემოსვლაზე, გასვლასა და ყოფნაზე, შესთავაზებს უცხოელთა რეგისტრაციისთვის მოთხოვნილ პროცედურებზე ხელსაყრელ პირობებს და გაათავისუფლებს საკონსულო მოსაკრებლებისგან; და

(ი) უზრუნველყოფს JICA-ს კოორდინატორებისთვის მათი მოვალეობის შესრულების მიზნით აუცილებელი სხვა ზომების გატარებას.

(3) მე-2 ქვეპუნქტში აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება გადასახადების გადახდას, საბაჟო გადასახადის ჩათვლით, თუ შემდგომში მოხდა მათი გაყიდვა ან საკუთრებაში გადაცემა საქართველოს ტერიტორიაზე იმ პირთათვის ან ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან მსგავსი გადასახადებისგან გაათავისუფლებას ან მსგავს პრივილეგიებს.

6. საქართველოს მთავრობა მიანიჭებს JOCV-ს, JICA-ს კოორდინატორებსა და მათი ოჯახის წევრებს ისეთ პრივილეგიებს, შეღავათებსა და სარგებელს, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე ნებისმიერი მესამე ქვეყნის ან ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის იმ მოხალისეებისათვის, კოორდინატორებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის დაწესებული პრივილეგიები, შეღავათები და სარგებელი, რომლებიც იმყოფებიან ანალოგიური მისიით საქართველოში.

7. საქართველოს მთავრობა მიიღებს აუცილებელ ზომებს საქართველოში JOCV-ს, JICA-ს კოორდინატორებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

8. საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას JOCV-ის წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია მათი მოვალეობების შესრულების დროს ან სხვაგვარად არის დაკავშირებული მათ მიერ მოვალეობების შესრულებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორივე მთავრობა თანხმდება, რომ ასეთი პრეტენზიები წარმოიშობა JOCV-ის მხრიდან უხეში დაუდევრობით ან წინასწარგანზრახული გადაცდომით.

9. ორივე მთავრობა დროდადრო გამართავს კონსულტაციებს პროგრამის საქართველოში წარმატებით განხორციელების მიზნით.

10. ზემოთ აღნიშნული ურთიერთგაგება შეიძლება შეიცვალოს ორივე მთავრობის ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და მისი მოქმედება შეწყდეს რომელიმე მთავრობის მოთხოვნით მეორე მხარისთვის ექვსი თვით ადრე ურთიერთგაგების მოქმედების შეწყვეტის განზრახვის თაობაზე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

გარდა ამისა, მაქვს პატივი შემოგთავაზოთ, რომ წინამდებარე ნოტა და თქვენი აღმატებულების საპასუხო ნოტა, რომელიც საქართველოს მთავრობის სახელით ადასტურებს წინამდებარე შეთანხმებას, შეადგენს ორი ქვეყნის მთავრობებს შორის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევა საქართველოს მთავრობის მხრიდან ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ იაპონიის მთავრობის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღების დღეს.

ვსარგებლობ მოცემული შესაძლებლობით, დავუდასტურო თქვენს აღმატებულებას ჩემი უღრმესი პატივისცემა.“

გარდა ამისა, მაქვს პატივი საქართველოს მთავრობის სახელით დავადასტურო წინამდებარე ურთიერთგაგება და განვაცხადო თანხმობა, რომ თქვენი აღმატებულების ნოტა და წინამდებარე საპასუხო ნოტა შეადგენს ორი ქვეყნის მთავრობებს შორის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევა ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდა პროცედურების დასრულების შესახებ საქართველოს მთავრობის წერილობითი შეტყობინების იაპონიის მთავრობის მიერ მიღების დღეს.

ვსარგებლობ მოცემული შესაძლებლობით, დავუდასტურო თქვენს აღმატებულებას ჩემი უღრმესი პატივისცემა.

---

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი  
დავით ზალკალიანი

საქართველოში იაპონიის საგანგებო და  
სრულუფლებიანი ელჩი  
მისი აღმატებულება ბატონი  
ტადაჰარუ უეჰარა

საგარეო ურთიერთობების სამინისტროს  
საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმანების განყოფილება

REGISTRATION № 55352-01

DATE 20.11.2019

CERTIFIED BY \_\_\_\_\_

Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia